„ემპათიის როლი სოციალურ კოგნიციებში“

ლაშა ბაბუაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოციალური ნეირომეცნიერების პროფესორი
სიმონ სურგულაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2014

სარჩევი

1. საწყისი გვერდები

1.1. თავფურცელი …….....1

1.2. სარჩევი……..2

1.3. აბსტრაქტი …….....3

2. ძირითადი ნაწილი

2.1. ლიტერატურის მიმოხილვა…….…….....4

2.2. კვლევის მიზანი.....……..…….10

2.3. კვლევის ამოცანები …….... 11

2.4. ჰიპოთეზა.....……..….. 13

2.5. კვლევის შედეგები……...……...…..13

2.6. შედეგების ანალიზი ……17

2.7. დასკვნა…….....……22

3. ბოლო გვერდები

3.1. გამოყენებული ლიტერატურა…….… 23

აბსტრაქტი

ნაშრომი მოიცავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აფექტური და სოციალური ნეირომეცნიერების ლაბორატორიის ბაზაზე ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგების წარმოჩენას და მათ ანალიზს, ემპათიის კორელაციის კანონზომიერებებს კოგნიტურ პროცესებთან და სოციალური ქცევის ფორმებთან. ემპათიას მნიშვნელოვანი როლი აქვს სოციალურ ცხოვრებაში, ის ხელს უწყობს იმ უნარების განვითარებას, რომელიც ადამიანს ეხმარება სოციალურ ინტეგრაციაში.

კვლევის მიზანი იყო ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანებში ემპათიის კვლევა და მისი კავშირის დადგენა პიროვნების სხვა თვისებებთან, როგორიცაა სოციალური ადაპტაციის უნარი.

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი მეთოდი, რომელიც მონაცემების მიღების სანდო საშუალებად მიიჩნევა. კვლევის ინსტრუმენტებად გამოვიყენეთ რამოდენიმე კითხვარი და ორი ექსპერიმენტული სავარჯიშო. კვლევა იყო საპილოტე და მიღებული შედეგები არ არის გათვლილი გენერალურ ერთობლიობაზე განსახილველად.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით გამოიყო ორი, ემპათიის დაბალმაჩვენებლიანი და მაღალმაჩვენებლიანი ჯგუფი. აღინიშნა ემპათიის დაბალი მაჩვენებლის კორელაცია სტრესზე რეაგირების დეზადაპტაციურ ტიპთან. ასევე გამოვლინდა ემპათიის ნეგატიური კორელაცია აუტიზმის და პარანოიის მაჩვენებელთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ემპათია, სოციალური ადაპტაცია, სტრესზე რეაგირება, პარანოია, აუტიზმი.